ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

15 ოქტომბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №100

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისდა 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" –ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში (სსმ, 28. 07. 2014წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამგეობის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) საფინანსო სამსახური;

გ) ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;

დ) სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახური;

ე) მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური;

ვ) შიდა აუდიტის სამსახური;

ზ) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური;

თ) სახანძრო-სამაშველო სამსახური;

ი) საინვესტიციო გარემოს განვითარების და ანალიტიკური სამსახური.

მუხლი 2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3.ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ფუნქციებია:
ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პოლიტიკის შემუშავება, არქიტექტურულ ქალაქთმშენებლობითი საქმიანობის მართვა. ტერიტორიული მოწყობისა და მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავება, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადება“.

მუხლი 3. **.** დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„4. სოციალური საკითხთა და კულტურის სამსახურის ფუნქციებია: სოციალური მონიტორინგის წარმოება, რისთვისაც უნდა მოიპოვონ, დაამუშავონ და გააანალიზონ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, აღრიცხონ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები და შეიმუშავონ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი განათლების, კულტურისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა, მათი რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამის პროექტების მომზადება, დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია. კულტურის, განათლების და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება“.

მუხლი 4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლიდან ამოღებული იქნას მე-5 პუნქტი.

მუხლი 5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„6. მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციებია: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების, მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ საკითხების მომზადება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვა და რეგისტრაცია, წინადადებების შემუშავება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის შესახებ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის მართვისა და განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით და მუნიციპალური ქონების კატეგორიის შეცვლის შესახებ. მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, კანონიერი მოსარგებლეებისათვის არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე – შესაბამისი წინადადებების მომზადება. მშენებლობის და არქიტექტურული საქმიანობის დაწყებიდან

დასრულებამდე დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე ზედამხედველობა“.

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 01 ნოემბრიდან

პროექტი მოამზადა: ნინო ვაჩეიშვილმა